კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.msy.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 07 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

www.msy.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
58,33%
69,93%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
38,46%
66,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
29,00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
51,85%
38,54%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
47,62%
28,10%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,69%
50,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი" სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერა და მინისტრის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

სამინისტრო » მინისტრი

ვლადიმერ ვარძელაშვილი

დაბადების თარიღი: 1979 წლის 3 აგვისტო

დაბადების ადგილი: წულუკიძე

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება:

1994 წელი თბილისის N140 საშუალო სკოლა.

2002-2006 საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,

სპეციალობა: სატყეო მეურნეობა

2006-2007 თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა

შრომითი საქმიანობა:

1998-1999 ტელეკომპანია "TV 4".

2002-2003 ქ.თბილისის საკრებულოს დროებითი ანტიკორუფციული კომისიის მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტი.

2003 -2004 საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

2004 - 2008 საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე.

2008-2010 წლიდან პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულ - გუბერნატორი გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებში.

2004 წლიდან დღემდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალაგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2010 წელს დაინიშნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად

2. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მოადგილეები“ სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის მოადგილეთა კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



3. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის ზოგადი გრაფიკი, სამინისტროს ელ.ფოსტის მისამართი და ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა:



4. სამინისტროსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სამართალმემკვიდრეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინო ადგილას ვებ-გვერდზე არ მოიძიება.

5. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პოლიტიკა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მიზნები და ამოცანები“ სრულად არის მოცემული სამინისტროს მოქმედი დებულებით განსაზღვრული სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები, თუმცა ამავე განყოფილებაში სასურველია მოიძიებოდეს ქვე-განყოფილება „კომპეტენცია“, სადაც განთავსდებოდა სამინისტროს დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრული სამინისტროს კომპეტენციის აღწერა:

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამინისტროების და სხვა საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები. აღნიშნული ბმულები სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში - „სასარგებლო ბმულები“. ამასთან, ვებ-გვერდზე მოიძიება მხოლოდ სპორტულ ორგანიზაციათა ბმულები:

7. ვებ-გვერდზე წარმოდგენილ სამინისტროს სარეკვიზიტო ცნობარს აკლია სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ფაქსის ნომრები, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა და განყოფილებაში „სამინისტრო“ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მოყვანილ სამმართველოთა სარეკვიზიტო ცნობარი, აგრეთვე უმაღლესი მიღწევების სპორტის სამმართველოს ელ.ფოსტა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი მოცემულია განყოფილებაში „კონტაქტი“, სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების სრული ჩამონათვალი (უკლებლივ ყველა სამმართველოს ჩათვლით) სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“.

9. სამინისტროს ვებ-გვერდზე სრულად არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის აღწერა;
- სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები და ფაქსის ნომრები;
- სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები;
- შესაბამის გადასასვლელ ბმულებზე დაჭერის შემდგომ სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტისა და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსების ფოტოსურათები;

- შესაბამის გადასასვლელ ბმულებზე დაჭერის შემდგომ სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები;

- სამინისტროს სამმართველოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე, უკლებლივ ყველა მოქმედი სამმართველოს საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები:

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სამინისტროს სათათბირო ორგანოს შესახებ. კერძოდ, ვებ გვერდზე არ მოიძიება:

- სათათბირო ორგანოს ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- სათათბირო ორგანოს სტრუქტურა და შემადგენლობა;

- სათათბირო ორგანოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

11. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: ტენდერების მონაცემთა ბაზა, ვაკანსიათა არქივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიშები, ერთიანი განყოფილება პროექტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.* ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი აქტების ბაზა საკმაოდ მწირია.

12. განყოფილებაში სათაურად „პოლიტიკა“, ქვე-განყოფილებაში „საერთაშორისო ურთიერთობები“ არსებული ბმული „ღონისძიებები“ ცარიელია, ხოლო განყოფილებაში „სპორტი“ არსებული ქვე-განყოფილებაში „შედეგები“ ბმულები „2005“, „2007“ და განყოფილებაში „პრეს-ცენტრი“ არსებული ქვე-განყოფილება „განცხადებები“ – „კონკურსები“ იუწყებიან, რომ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:



13. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

14. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე, სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ სპორტით:



15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის ერთიანი ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. ამასთან, განყოფილებაში „პოლიტიკა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ყოველწლიური ანგარიში“ მოყვანილია არა უშუალოდ სამინისტროს საქმიანობის ერთიანი 2010 წლის ანგარიში, არამედ სამინისტროს ყოველწლიური გამოცემა „სპორტი და ახალგაზრდობა 2010“ (ჟურნალი):

16. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

17. ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილება „საერთაშორისო ურთიერთობები“, იძლევა მწირ წარმოდგენას სამინისტროს საერთაშორირო პარტნიორობისა და პარტნიორ ორგანიზაციათა შესახებ. აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში სასურველია მოყვანილ იქნეს საერთაშორისო პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:

18. სასურველია სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება - ,,პროექტები“, რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. მოცემული (ქვე-) განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ (წლიურ) მოხსენებებს.

19. ვებ-გვერდზე სამინისტროს გეგმების აღწერა შემოიფარგლება მხოლოდ ახალგაზრდობის საქმეთა სფეროთი:



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

20. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო ბაზა“ სამართლებრივი აქტების რაოდენობა მწირად არის მოცემული. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აპარატის შინაგანაწესი.

სასურველია აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ”;
- მინისტრის პირველი მოადილისა და მოადგილეების უფლებამოსილეთა განმსაზღვრელი მინისტრის ბრძანება;
- სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტები;
- სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- აპარატის შინაგანაწესი;
- სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესი.

ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო ბაზა“ განთავსებული ბმულს - „ბრძანება სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების თაობაზე“ არ გააჩნია მიმაგრებული ფაილი:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

21. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

22. სამინისტროს ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), სამინისტროს მიერ გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რა ინფორმაციაც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/sajaroinformaciasporti.pdf)

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

23. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ტენდერები", სადაც განთავსდებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ქვე-განყოფილება სათაურად „აუქციონი" იუწყება, რომ „ამ დროისთვის სამინისტროს არ აქვს გამოცხადებული აუქციონი", სასურველია ხსენებულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს აუქციონების არქივი:



*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია),რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sporti_shesyidvebisporti.pdf);*

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი ივლისიდან წლის ბოლომდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი,რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/b_shesyidvebi0001.pdf).

24. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

25. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილება „ვაკანსიები“, იუწყება რომ „ამჟამად სამინისტროში არ არის ვაკანტური ადგილები“. აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში სასურველია შეიქმნას ვაკანსიათა არქივი, სადაც განთავსდებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.* :



- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია.

  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის ბიუჯეტის შესახებ ონფორმაცია კვარტლების ან/და თვეების მიხედვით ასევე ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/2_9_biujeti0001.pdf);*

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/biujetiisporti.pdf).

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წელს მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების), ხელმძღვანელი პირების და მათი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების და სახელფასო დანამატების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/3_tavpurceli0001.pdf);

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე); *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და ბონუსების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasipremiasporti.pdf);

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

- არ მოიძიება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sarezervofondebisporti.pdf);*

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2010 წელს გამოყოფილი თანხების შესახებ, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/sarezervo_pondebi0001.pdf).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88,89%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
58,82%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63,16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
71,43%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

ზოგიერთ გვერდზე ვიდეო-მასალა ეფარება მთავარ მენიუს:



ვიდეო ფაილებს უნდა ქონდეთ მითითებული სპეციალური ფუნქცია (wmode = transparent), შედეგად მთავარი მენიუ გამოჩნდება სრულყოფილად;

- **ძიება**

ძიების მოდულში უნდა არსებობდეს ენების გადასართავი ღილაკი, ამ შემთხვევაში მომხმარებელს საშუალება აქვს მხოლოდ ქართულად ჩაწეროს ძიების ველში, ლათინურ ფონტზე გადასართავი ღილაკი არ აქვს:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის გარკვეულ კატეგორიებში გვხვდება უხარისხო სურათები, რაც ხიბლს უკარგავს ვებ-გვერდის დიზაინს:

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმას უნდა ქონდეს დამცავი კოდი, რათა არ მოხდეს ელ.ფოსტების უკანონო დაგზავნა და სერვერის გადავსება:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის ერთ-ერთ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, ის რომ სურათების ზომა კონტროლდება პროგრამული კოდით (PHP-დან), რაც არ არის რეკომენდებული, რადგან სურათების გენერაცია ხორციელდება დაგვიანებით:

ვებ-ბრაუზერ „ოპერაში“ ირღვევა ვებ-გვერდის სტრუქტურა:

შედეგად ჩნდება დაბლითა “Scroll”-ი, რაც ზღუდავს მხედველობის არეს;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

სოციალურ ქსელებში გაზიარების მოდული არც თუ ისე კარგად არის ინტეგრირებული ვებ-გვერდზე, რადგან არსებული მოდული არის რთულად აღქმადი და ხშირად მომხმარებელი ვერ ხვდება რა ღილაკთან აქვს საქმე. საჭიროა ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ქსელების ღილაკები, როგორიც არის Facebook, Myspace, Twitter და სხვა ჩაისვას ცალკე, ამგვარად მომხმარებელი ადვილად აღიქვავს ამ ფუნქციებს და შესაბამისად ადვილად გამოიყენებს:

- **დამატებითი პარამეტრები**

ბეჭდვის ღილაკის გამოყენებისას საბეჭდი ვერსია უნდა გაიხსნას ცალკე, თუმცა ვებ-გვერდზე ღილაკის დაჭერისთანავე გვთავაზობს ვებ-გვერდის ბეჭდვას:



ვებ-გვერდის HTTPS პროტოკოლის ვერსია ხსნის ბანკ რესპუბლიკის ვებ-გვერდს, რაც უხეში შეცდომაა:

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდში არსებული მოდულები, რამოდენიმეს გარდა, ისევე როგორც ფუნქციები შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხარისხიანია. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ვებ-გვერდზე აუცილებლად უნდა იყოს ინტეგრირებული ელექტრონული სერვისები, შესაძლებელია ელ.-რესურსის სოციალურ ქსელებში უფრო მარტივი ინტეგრაცია, ონლაინ ჩართულობისთვის აუცილებელი მოდულების განთავსება და სხვა.